ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის

გლდანის რაიონის გამგეობა

№ 06-21/14365225
31.12.14

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარეს
ბატონ ლევან რაზმაძეს

ქ. თბილისი, რიჩარდ ჰოლბრუქის ქ. №8
ს/კ 204428510

ბატონო ლევან,

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტისა და „სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის №9 ბრძანების მე-3 მუხლის მეორე პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის მოთხოვნათა შესაბამისად გაცნობებთ, რომ გლდანის რაიონში მცხოვრები სოციალურად დაუცველი მოსახლეობის უფასო სასადილოებით მომსახურების უწყვეტობის შენარჩუნების მიზნით, გადაუდებელი აუცილებლობიდან გამომდინარე (ვინაიდან არ დასრულებულა სატენდერო პროცედურები - SPA140027808) ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 16 დეკემბრის №04/18771 წერილით გლდანის რაიონის გამგეობამ მიიღო თანხმობა, აღნიშნული მომსახურების შესყიდვა განახორციელოს გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.

დანართი: ქ. თბილისის მინიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 16 დეკემბრის №04/18771 წერილის ასლი – 1 ფურცელი.

პატივისცემით,

გამგებელი ბ. ქარცივაძე

ქ. თბილისი 0153, დ. სარაჯიშვილის ქ. #1გ ტელეფონი (99532) 2318918

TBILISI.GOV.GE

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

CHAIRMAN OF TBILISI CITY MUNICIPAL ASSEMBLY

თბილისი, 0105, ლერმონტოვის ქ. 10, ტელ: (+995 32) 2 98 29 32; www.sakrebulo.ge
10, LERMONTOVI ST, 0105 TBILISI, GEORGIA; TEL: (+995 32) 2 98 29 32; www.sakrebulo.ge

№ 04/18771 "16" დეკემბერი 2014 წ.

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერს
ბატონ დავით ნარმანიას

ბატონო დავით,

თქვენი 2014 წლის დეკემბრის №04/18771 წერილის შესაბამისად, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო გამლევთ თანხმობას, მომსახურების უწყვეტობის შენარჩუნების მიზნით, გადაუდებელი აუცილებლობიდან გამომდინარე, 2015 წლის 1 იანვრიდან 1 თებერვლამდე პერიოდში და იმ შემთხვევაში, თუ ტენდერები არ შედგება ან დასრულდება უარყოფითი შედეგით შესაბამისი ტენდერის შედეგად გამოვლენილ გამარჯვებულთან ხელშეკრულების გაფორმებამდე და მის მიერ კვებითი მომსახურების დაწყებამდე პერიოდში, ზემოაღნიშნული „უფასო სასადილოების" მომსახურება რაიონული გამგეობების მიერ, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის და „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის №9 ბრძანების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის შესაბამისად, შეისყიდოთ გამარტივებული შესყიდვის საფუძველზე.

პატივისცემით,

გიორგი ალიბეგაშვილი

05-2/14344510
16.12.2014